



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030454046442817

04-573/ო

16 / აგვისტო / 2017 წ.

მინდობით აღზრდის საკითხზე სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გასაფორმებელი ხელშეკრულებების სტანდარტული ფორმის დამტკიცების შესახებ

„შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული ფორმა (დანართი N1).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს “რეინტეგრაციის შემწეობისა და შვილობილად აყვანის (მინდობით აღზრდის) საკითხებში გასაფორმებელი ხელშეკრულებების სტანდარტული ფორმების დამტკიცების შესახებ” სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2009 წლის 13 აპრილის N01/126–ო ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული შვილობილად (მინდობით აღზრდა) აყვანასთან დაკავშირებით გასაფორმებელი ხელშეკრულების სტანდარტული ფორმა (დანართი N2) და გადაუდებელი მინდობით აღზრდის ხელშეკრულების სტანდარტული ფორმა (დანართი N4).

3. მიენიჭოთ უფლებამოსილება სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების უფროსებს/უფლებამოსილ პირებს (გარდა აჭარის ა/რ ფილიალის უფროსისა), სააგენტოს სახელით, ხელი მოაწერონ მინდობით აღზრდის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, მინდობით აღზრდის შესახებ გასაფორმებელ ხელშეკრულებას.

4. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ.გოგოლაძე) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის გადაგზავნა.

3. ბრძანება ძალაშია „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის დღიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე

ზაზა სოფრომაძე

ხელშეკრულება მინდობით აღზრდის შესახებ

(ნათესაური/არანათესაური/ გადაუდებელი/ ჩამნაცვლებელი/ სპეციალიზებული)

ხელშეკრულება №	<input type="text"/>	საფუძველი: რეგ. საბჭოს ოქმი	<input type="text"/>	№	<input type="text"/>
		რიცხ. თვე წელი		რიცხვი თვე წელი	
ხელშეკრულების გაფორმების ადგილი					

ერთის მხრივ, სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“) წარმოდგენილი _____
ტერიტორიული ორგანოს დასახელება, უფროსის სახელი გვარი

სახით, და მეორეს მხრივ, მინდობით აღზრდელი			<input type="text"/>		
სახელი	გვარი	პირადი ნომერი			
საცხოვრებელი ადგილი:	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>
	კლასი/რაიონი	სოფელი/დასახლებული პუნქტი	ქუჩა, ნომერი		
პირადი საბანკო ანგარიში:	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>
	ბანკის დასახელება	საიდენტიფიკაციო კოდი			ანგარიშის ნომერი

შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებით, ბავშვის/პირის
_____ მინდობით აღზრდა და ბავშვის მინდობით აღზრდელსათვის ფულადი სოციალური დახმარების
(ნათესაური/არანათესაური/გადაუდებელი/ ჩამნაცვლებელი/ სპეციალიზებული) გაცემა

2. მინდობით აღსაზრდელის ვინაობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა და მინდობით აღზრდელის ოჯახში განთავსების ვადა:

2.1 ამ ხელშეკრულების მიხედვით, მინდობით აღზრდელის ოჯახში თავსდება ბავშვი/პირი(მინდობით აღსაზრდელი), რომლის მონაცემებია:

სახელი _____ გვარი _____ პირადი ნომერი (არსებობის შემთხვევაში) _____ დაბადების მოწმობის ნომერი _____
დაბადებული: _____
რიცხვი _____ თვე _____ წელი _____ დაბადების ადგილი (კლასი/რაიონი) _____

2.2 მინდობით აღსაზრდელის ჯანმრთელობის მდგომარეობა:

ჯანმრთელი _____ შშმ _____ განსხვავებული საჭიროების მქონე _____
2.3 მინდობით აღსაზრდელის განთავსება მინდობით აღზრდელის ოჯახში მოხდება შემდეგი ვადების გათვალისწინებით:
ხანგრძლივობა: _____ თვე _____ -დან _____ -მდე
რაოდენობა _____ რიცხვი _____ თვე _____ წელი _____ რიცხვი _____ თვე _____ წელი _____

3. ანაზღაურება

3.1 სააგენტო ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მინდობით აღზრდელს გაუწევს ყოველთვიურ ფულად სოციალურ დახმარებას, რომელიც მოიცავს მინდობით აღსაზრდელის მოვლის და მისი აღზრდის მიზნით ანაზღაურებას, რომლის ოდენობაა:
_____ ოდენობა _____ კლარი _____ ყოველ კალენდარულ დღეზე/ყოველ თვეურად

3.2 თანხის ჩარიცხვა მოხდება ყოველთვიურად, მინდობით აღზრდელის რეკვიზიტებში მითითებულ პირად საბანკო ანგარიშზე.

4. სააგენტოს უფლება-მოვალეობები

4.1 სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით დედაგენილი წესით იცავს ბავშვის უფლებებს, კანონიერ ინტერესებს და ახორციელებს ბავშვის წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს.

4.2 სააგენტო უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ეწვიოს მინდობით აღზრდელს და თვალყური ადევნოს მინდობით აღსაზრდელის ცხოვრების, აღზრდის, განვითარების, სწავლისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის პირობებს. მისი აღზრდისათვის გამოყოფილი თანხების მიზანმიმართულ ხარჯვას; ასევე, გაუწიოს მინდობით აღზრდელს სხვადასხვა სახის კონსულტაცია;

4.3 სააგენტო უფლებამოსილია, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, განახორციელოს ვიზიტები მინდობით აღზრდელის ოჯახში, წინასწარი შეთანხმებით და შეთანხმების გარეშე;

4.4 სააგენტო უფლებამოსილია ორგანიზება გაუკეთოს ბავშვის შეხვედრებს ბიოლოგიურ მშობლებთან ან ნათესავებთან, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ჭკმარტივ ინტერესებს;

4.5 სააგენტო აწვდის მინდობით აღზრდელს სრული ინფორმაციას ბავშვის, მისი ბიოლოგიური მშობლების (ნათესავების) ცხოვრების ისტორიის, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

4.6 სააგენტო უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვან შესრულებას და უფლებამოსილია აკონტროლოს მინდობით აღზრდელის გამოყოფილი თანხების ხარჯვის მიზნობრიობა;

4.7 ამ ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ურთიერთობებში სააგენტოს წარმოადგენს სოციალური მუშაკი. სოციალური მუშაკის საქმიანობა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით;

4.8 სააგენტოს წარმომადგენლის სოციალური მუშაკის ვიზიტების ხანგრძლივობასა და სიხშირეს განაპირობებს ბავშვის მდგომარეობა;

4.9 ამ ხელშეკრულების გარდა, სააგენტოს სხვა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

5. მინდობით აღზრდელის უფლება-მოვალეობები

5.1 მინდობით აღზრდელი ვალდებულია აღზარდოს მინდობით აღსაზრდელი, იზრუნოს მის ჯანმრთელობაზე, ფიზიკურ, ფსიქიკურ, სულიერ და სოციალურ განვითარებაზე, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით;

5.2 მინდობით აღზრდელი ვალდებულია იზრუნოს მინდობით აღსაზრდელზე მისი ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად;

- 5.3 მინდობით აღმზრდელი ვალდებულია უზრუნველყოს მინდობით აღსაზრდელის მონაწილეობა მინდობით აღსაზრდელთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში, მისი ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით.
- 5.4 მინდობით აღმზრდელი ვალდებულია მინდობით აღსაზრდელს შეუქმნას კეთილსაიმედო ოჯახური გარემო;
- 5.5 მინდობით აღმზრდელი ვალდებულია კონფიდენციალურად შეინახოს ინფორმაცია მინდობით აღსაზრდელის და მისი ბიოლოგიური მშობლების (ნათესავების) შესახებ;
- 5.6 მინდობით აღმზრდელი ვალდებულია აცნობოს სააგენტოს საკუთარ ოჯახში მომხდარი ცვლილებები (საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლა და სხვა), ან ნებისმიერი ისეთი გარემოების შესახებ, რომელიც ხელს შეუშლის ამ ხელშეკრულებით ნაკისრი უფლებებისა და ვალდებულებების სათანადო შესრულებას;
- 5.7 მინდობით აღმზრდელი ვალდებულია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დაუყოვნებლივ აცნობოს მინდობით აღსაზრდელისათვის საზიანო პირობებისა და გარემოს შექმნის შესახებ;
- 5.8 მინდობით აღმზრდელი ვალდებულია იცხოვროს მინდობით აღსაზრდელთან ერთად;
- 5.9 მინდობით აღმზრდელი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხელი შეუწყოს მინდობით აღსაზრდელის მის კანონიერ წარმომადგენელთან და სხვა ნათესავებთან ურთიერთობას, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს;
- 5.10 მინდობით აღმზრდელი ვალდებულია შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოვალეობები.
- 5.11 მინდობით აღმზრდელი უფლებამოსილია მითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯების ყოველთვიური ანაზღაურება.
- 5.12 მინდობით აღმზრდელი უფლებამოსილია სააგენტოს მიმართოს მინდობით აღსაზრდელთან დაკავშირებული ნებისმიერი ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით.
- 5.13 მინდობით აღმზრდელი უფლებამოსილია განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებები.

6. მინდობით აღსაზრდელის უფლებები

- 6.1 მინდობით აღსაზრდელი სარგებლობს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი ბავშვის ყველა უფლებით.
- 6.2 მინდობით აღსაზრდელთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მინდობით აღსაზრდელის მონაწილეობისა და აზრის პატივისცემის პრინციპი, მისი ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით.
- 6.3 მინდობით აღზრდა არ ზღუდავს მინდობით აღსაზრდელის უფლებებს მისი ბიოლოგიური მშობლისა (ბიოლოგიური მშობლებისა) და წარმოშობით ნათესავების მიმართ.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის პირობები

- 7.1 ხელშეკრულება მოქმედებს ამ ხელშეკრულების 2.2. პუნქტით განსაზღვრული ვადით;
- 7.2 ხელშეკრულება გადაისინჯება ვადის გასვლისთანავე;
- 7.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით ან ერთი მხარის ინიციატივით შემდეგ შემთხვევებში:
- 7.3.1 ხელშეკრულების ვადის გასვლისას, თუ მისი გაგრძელება არ მოხდა;
- 7.3.2 მინდობით აღმზრდელის მიერ რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის შესახებ განცხადების გაკეთებისას;
- 7.3.3 მინდობით აღმზრდელის ინიციატივით, თუ არსებობს დასაბუთებული მიზეზი (ავადმყოფობა, ოჯახური ან მატერიალური მდგომარეობის გაუარესება, საზღვარგარეთ სამკურნალოდ ან სასწავლებლად გამგზავრება და სხვა საპატიო მიზეზი);
- 7.3.4 მინდობით აღმზრდელის გარდაცვალებისას;
- 7.3.5 მინდობით აღსაზრდელის გარდაცვალებისას;
- 7.3.6 მინდობით აღსაზრდელის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების ან მეურვეობის (მზრუნველობის) დაწყებისას;
- 7.3.7 მინდობით აღსაზრდელის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ პანსიონურ მომსახურების მქონე საჯარო სკოლაში გადაყვანისას/ჩარიცხვისას ან არდადეგების შემდგომ დაბრუნებისას;
- 7.3.8 მინდობით აღსაზრდელის შვილად აყვანისას;
- 7.3.9 თუ მინდობით აღსაზრდელი გახდა სრულწლოვანი (18 წლის შესრულების თარიღიდან), გარდა იმ შემთხვევისა თუ აღსაზრდელი არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების /სკოლის მოსწავლე, პროფესიულსაგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტი ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი ან დარეგისტრირებულია პროფესიულ/უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხ კანდიდატად, მაგრამ არაუმეტეს 21 წლის ასაკის მიღწევას;
- 7.3.10 თუ მინდობით აღსაზრდელი გახდა 21 წლის;
- 7.3.11 თუ მინდობით აღსაზრდელი დაქორწინდა;
- 7.3.12 მინდობით აღსაზრდელსა და მინდობით აღმზრდელს ან მის ოჯახს წევრებს შორის კონფლიქტის, შეუთავსებლობის შემთხვევაში;
- 7.3.13 სააგენტოს ინიციატივით, თუ მინდობით აღმზრდელის ოჯახში შექმნილია მინდობით აღსაზრდელზე ზრუნვისა და მისი აღზრდისათვის საზიანო პირობები და გარემო ან თუ ბავშვის ყოფნა მინდობით აღმზრდელის ოჯახში არ შეესაბამება მის ინტერესებს;
- 7.3.14 თუ მინდობით აღმზრდელი არაჯეროვნად ასრულებს თავის მოვალეობებს ან/და არღვევს ხელშეკრულების პირობებს ან არ ზრუნვს სათანადოდ მინდობით აღსაზრდელზე;
- 7.3.15 18 წლიდან 21 წლამდე მინდობით აღმზრდელის სურვილის შემთხვევაში;
- 7.3.16 მინდობით აღსაზრდელის მიერ მინდობით აღმზრდელის ოჯახის თვითნებურად დატოვების შემთხვევაში, როცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის შეტყობინებიდან 6-კვირიანი ვადის გასვლისას, ვერ ხერხდება პირის ადგილსამყოფლის დადგენა;
- 7.3.17 თუ მინდობით აღსაზრდელი ან მინდობით აღმზრდელი იმყოფება წინასწარ პატიმრობაში ან სასამართლოს გადაწყვეტილებით იმყოფება სასჯელადსრულების დაწესებულებაში;
- 7.1.18 საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე სხვა შემთხვევებში.

8. მინდობით აღზრდასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტა

- 8.1 მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის პასუხისმგებლობის ზომები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით;
- 8.2 ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას წარმოშობილი დავები გადაწყდება მხარეთა შეთანხმებით, თუ ასეთი რამ არ მოხერხდა, მხარეები მიმართავენ სასამართლოს;
- 8.3 ხელშეკრულების პირობების დარღვევისას ორივე მხარეს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს.

9. დასკვნითი დებულებები

- 9.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ინახება მხარეებთან;
- 9.2 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისა და ამ ხელშეკრულებაში მითითებული თარიღიდან.

სააგენტო _____;

მინდობით აღმზრდელი _____